1938

პიონერი

1938 №2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პიონერი

ყოველთვიური მეცადინეობანი
ბიბლიოთეკა

ხაკ. ალკა ცენტრალური კომიტეტისა და
ხაკ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი.

თებერვალი 1938 წ. № 2

ხაკ. კ. პ. (ბ) ც კ-ის გამომც.—„კომუნისტი". რედაქციის მისამართი: ტფილისი, ჯრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3—02—61

შინაარსი

		გვ.
1.	გმირული წითელი არმია	1
2.	**მარიჯანი,**—წითელარმიელის სიმღერა (ლექსი)	2
3.	**როდიონ ძოწაძია,**—ორი შემთხვევა (მოთხრობა)	3
4.	**გიორგი კაპანაძე,**—წითელი ჯარი (ლექსი)	5
5.	**იგორ ვსევოლოდსკი,**—მამაცობა ქალაქებს ილებს (მოთხრობა)	5
6.	**ნიკოლო ნაგრელი,**—მგზნებარე რაინდის ბავშვობა (ნარკვევი)	8
7.	**იოსებ ნონეშვილი,**—თებერვლის 25 (ლექსი)	12
8.	**ლავრენტი ჯიჯინაძე,**—მოედანი (მოთხრობა)	13
9.	**გიორგი ნატროშვილი,**—ალექსანდრე ყაზბეგი (წერილი)	15
10.	**სანდრო ულენტი,**—თოელი მოსულა (ლექსი)	გარეკანის მე-3 გვ.
11.	პასუხი ჟურნ. „პიონერის" № 1-ში მოთავსებულ გასართობებზე.	გარეკანის მე-3 გვ.
12.	გასართობი,	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ ი. ჭოჭიაშვილის მიერ

პასუხისმგებელი რედაქტორი—ელ. აგლაძე

პ/მგ. მდივანი—ნ. ხირბილაძე

მთავლიტი 352 შეკვ. № 172 ტირაჟი 14.250

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

3380

გმირული წითელი არმია

ოცი წლის წინათ, 1918 წლის 23 თებერვალს, ჩამოყალიბდა გმირული წითელი არმია და სამხედრო საზღვაო ფლოტი. ეს იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ახლადშექმნილი მუშურ-გლეხური მთავრობა, შემორკალული გაცოფებული თავდამსხმელებით, იბრძოდა არსებობის შენარჩუნებისათვის. მაშინ წითელმა არმიამ, რომლის ორგანიზატორებიც მსოფლიო პროლეტარიატის დიდი გელადები—ლენინი და სტალინი იყვნენ და რომელსაც ხელმძღვანელობდნენ უნიჭიერესი სარდლები—ფრუნზე და ვოროშილოვი, შესძლო გაემართლებინა მშრომელი ხალხის იმედები. წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებებით დაასრულეს.

სამოქალაქო ომების ისტორია სავსეა გმირული ეპიზოდებითა და ზღაპრული თავგანწირულობის მაგალითებით.

ცუდად შეიარაღებული, ნახევრად მშიერი, ნახევრად შიშველი წითელი მეომრები იბრძოდნენ უკრაინის ველებზე, პრიმორიეს გორაკებზე, იბრძოდნენ პეტროგრადთან, ცარიცინთან, პერეკოპთან, იბრძოდნენ ციმბირის ტაიგაში, შუა აზიის უდაბნოებში, იბრძოდნენ და აცამტვერებდნენ თეთრგვარდიელთა განდებს. დენიკინის, კოლჩაკის, იუდენიჩის, ვრანგელის და სხვათა კონტრრევოლუციურმა განდებმა მწარე დამარცხება იგემეს.

მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ კი მოიხვეჭა მამაცობისა და გმირობის საამაყო სახელი.

სამოქალაქო ომების გამარჯვებით დამთავრების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ მთელი გულისყურით მოჰკიდა ხელი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის განმტკიცების საქმეს, და დღეს ჩვენს გედნიერ სოციალისტურ ქვეყანას უკვე ჰყავს მტკიცე და მთელს მსოფლიოში უძლიერესი არმია. ეს არმია შედგება მამაცი მფრინავებისაგან, შეუდარებელი ტანკისტებისაგან, მკვირცხლი მხედრებისაგან, ვაჟკაცი ქვეითი ჯარისკაცებისაგან, გმირი მესაზღვრეებისა და გაბედული წითელფლოტელებისაგან. ისინი მუდამ მზად არიან გმირულად შეხვდნენ მტრის თავდასხმას და მისსავე ტერიტორიაზე დაამარცხონ ის.

თუ დღემდის კაპიტალისტურ ქვეყნებს არ შეუშვიათ სერიოზული თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ აფრთხობს ჩვენი არმიის სიძლიერე.

წითელი არმია ძლიერია არა მარტო იმით, რომ ის კარგად არის შეიარაღებული, რომ ის დაუფლებულია სამხედრო საქმეს, რომ ის მაღალი პოლიტიკური შეგნების მქონეა და უაღრესად კულტურულა-

დაა ალზრდილი, არამედ ის ძლიერია თავისი ზურგითაც. წითელი არმიის ზურგი კი არის საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი ხალხი—საბჭოთა პატრიოტები, რომლებიც წითელარმიელებთან ერთად მუდამ მზად არიან თავისი სიცოცხლე შესწიროონ სოციალისტური ქვეყნის კეთილდღეობას.

თითოეული საბჭოთა მოქალაქე ამაყობს თავისი ძლიერი წითელი არმიით, თითოეული საბჭოთა მოქალაქის სურვილია კიდევ უფრო გაძლიერდეს ის, რომ მტრებისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ იქცეს ჩვენი ბედნიერი ქვეყანა.

შევისწავლოთ სამოქალაქო ომის გმირების—ფრუნზეს, ვოროშილოვის, ბუდიონის, ბლიუხერის, ჩაპაევის, შჩორსის და სხვათა—თავგადასავალი. შევისწავლოთ მათი გმირული ბრძოლები.

შევისწავლოთ მამაც მესაზღვრეთა გმირული ცხოვრება, შევისწავლოთ, რომ თითოეული ჩვენგანიც ისეთივე თავგანწირული იყოს, ისევე მხურვალედ [illegible] დეს ჩვენი საბჭოთა სამშობლო...

ბიბლიოთეკა

წითელი არმიის 20 წლის თავს ალტაცებით ეგებება მთელი საბჭოთა მოსახლეობა.

ზეიმობს ჩვენი ქვეყანა, ზეიმობს წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ღირსშესანიშნავ წლისთავს.

დეე, კიდევ უფრო მეტად განმტკიცდეს ძლევამოსილი წითელი არმია!

დეე, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტი!

მარიჯანი



ჩვენი სამშობლო სულ სხვაა,
ვერაფერს ვერ შევადარებთ,
მშობლიურ მიწის სიყვარულს
მუდამ ჟამს გულით ვატარებთ!
მზე ჩვენში უფრო ანათებს,
ვარსკვლავნიც უფრო მეტია,
დიდი სამშობლოს სიმდიდრე
ხალხს შრომით მოუხვეჭია!
ჩვენ ამ სიმდიდრეს ვგუშაგობთ,
მოვდივართ მწყობრი რიგებით,
და მტერი თუ მოგვეპარა,—
ცხელ ტყვიით მოვურიგდებით!

◇

დავიმორჩილეთ პოლუსი,
ჰაერი, ზღვა და ზღვის ფსკერი,
დილის განთიადს ვუხვდებით
ბრძოლის თამამი სიმღერით!
ეს სიმღერები მზეს აღწევს
და ადნობს უძრავ ყინულებს,
ვინც შრომით ლუკმას შოულობს,
ის ჩვენ მეგობრად გვიგულებს.
მშრომელთა კერას ვგუშაგობთ,
მოვდივართ მწყობრი რიგებით,
და მტერი თუ მოგვეპარა,—
ცხელ ტყვიით მოვურიგდებით!

◇

ბავშვებს რომ მშვიდად ეძინოთ—
ღამეს საზღვარზე ვათენებთ,
მტერი თუ დაგვჭრის—ჭრილობას
სამშობლო გამოამრთელებს.
მტერი ვერ დაგვძლევს მეომრებს,
თუმც ის მელაა ცბიერი...
დილის განთიადს ვუხვდებით
ბრძოლის თამამი სიმღერით!
ჩვენ ნორჩ თაობას ვგუშაგობთ,
მოვდივართ მწყობრი რიგებით,
და მტერი თუ მოგვეპარა,—
ცხელ ტყვიით მოვურიგდებით!

როდიონ ქორქია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი შემთხვევა

(სამოქალაქო ომის გმირის ნიკოლოზ შჩორსის ცხოვრებიდან; ეს ორი შემთხვევა 1919 წ. მარტის ბოლოს მოხდა უკრაინაში)

1

ბერდიჩევის შესანარჩუნებლად ბრძოლა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. პეტლურას ჯარებს გააფთრებით მიჰქონდათ იერიშები ქალაქზე. შჩორსის ჯარი თავგამოდებით იცავდა ქალაქს. პეტლურას ჯარებს თანდათან ემატებოდა, შჩორსს კი მაშველი ჯარი არ მოსდიოდა.

ზამთარი ნელა მიიპარებოდა. თოვლი დნებოდა, იდგა ტალახი და სიცივე. მეომრებს სიცივისაგან ფეხები დაოსებული ჰქონდათ, ხელები გაყინული, მაგრამ გმირულად იცავდნენ საბჭოთა მთავრობის დავალებას:

—ბერდიჩევი მტერს არ დაანებოთ!

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ტარაშანის პოლკის ფრონტზე. პეტლურამ დიდძალი ჯარი შეყარა ამ პოლკის პირდაპირ. ტარაშანის პოლკი ბრძოლით იხევდა. პეტლურას ჯარებმა სამი მხრით შემოუარეს ტარაშანის პოლკს. პოლკი უკვე ბერდიჩევს მიებჯინა. დაღლილი, დაქანცული, რამდენიმე ღამის უძილარი პოლკი გარეუბანში შეჩერდა, მტერი პოლკს ზურგში მოექცა. ბერდიჩევის ბედი ბეწვზე ეკიდა.

და უცებ პოლკში ხმა გავარდა:

—შჩორსი... შჩორსი ჩამოვიდა...შჩორსი გვიშველის...

შჩორსმა იმ დროს მოუსწრო პოლკს, როცა მტერი უკვე ქალაქში შემოდიოდა. შჩორსი ჩამოვიდა ფრონტის მეორე უბნიდან, სადაც მტრის მოწოლას აჩერებდა. როგორც კი მატარებლიდან ჩამოვიდა, მიმოიხედა. ბევრი წითელარმიელი იდგა დაბნეული, არ იცოდნენ რა ექნათ.

—სმენა!—შესძახა შჩორსმა.—ჩადექით წყობილებაში! მე შჩორსი ვარ.

შჩორსის სახელის გაგონებაზე სადგურზე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა დაიძაბა, თითქოს ახლა გაახსენდათ, რომ მტერი ქალაქში შემოდის და საჭიროა პასუხის გაცემა. წითელარმიელების გარდა წყობილებაში სხვებიც ჩადგნენ.

—მომყევით!—გასცა განკარგულება შჩორსმა, ამოიღო რევოლვერი და გაუძღვა რაზმს.

რაზმი დროზე მიეშველა ტარაშანის პოლკს.

—არცერთი ნაბიჯი უკან!—შესძახა შჩორსმა ჯარს.—წინ! მომყევით!

წითელარმიელებმა დაინახეს თავისი საყვარელი სარდალი, დაავიწყდათ დაღლილობა, წამოდგნენ და შეტევაზე გადავიდნენ.

შჩორსი მირბოდა წინ. „ვაშას“ ძახილით მისდევდნენ წითელარმიელები. მტერმა დაიხია, მაგრამ ჩქარა დაინახა, რომ შჩორსს ცოტა ჯარი ჰყავდა. მტერი ისევ გადმოვიდა შეტევაზე. შჩორსმა ისევ უკუაგდო მტერი.

იმ დღეს ცხრაჯერ გადავიდა შჩორსი შეტევაზე. მეტად მწვავე იყო ბრძოლა. ერთერთი შეტევის დროს მტერმა ზურგში მოუარა შჩორსს. შჩორსი არ დაიბნა, პოლკი ორად გაჰყო. ერთი ნაწილი ყველაზე საშიშარი ადგილისაკენ თვითონ წაიყვანა და შესძახა:

—არცერთი ნაბიჯი უკან!

საშინელი შესახედავი იყო შჩორსი. მის ლამაზ, მშვენიერ სახეზე საშინელი მრისხანებით ელავდნენ ფართო შავი თვალები. წვერი გასჩეჩოდა. ტუჩები უთრთოდნენ. ხელში რევოლვერი მოეღერებინა და კიოდა:

—წინ! არცერთი ნაბიჯი უკან!

მეცხრე შეტევა გამარჯვებით გათავდა. მტერმა დაიხია.



საღამოს წითელარმიელები ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

—შორსი ჩვენი როტის წინ მირბოდა შეტევაზე, ჩვენ ფეხდაფეხ მივსდევდით.

—რას ტყუი! შორსი ჩვენი როტის წინ მიდიოდა, ჩემი თვალით ვხედავდი.

—მიქარავთ!—აწყვეტინებდნენ მესამენი.—შორსი ჩვენ წინ მიჰქროდა. ძლივს დავეწიეთ, როცა ტირიფთან ტყვიამფრქვევი წაართვა მტერს.

—აი, ეს კი ტყუილია,—ჩაერევნენ ისინი, რომლებიც შორსმა სადგურზე შეკრიბა და გაიყოლია,—შორსი ამ დროს ჩვენთან იყო.

—მაშასადამე, კიდევ წაურთმევია მტრისათვის ტყვიამფრქვევი. გეუბნები, დამიჯერე, ჩვენთან იყო მეთქი შორსი!

—სდექ!—გაისმა უცებ შორსის ძლიერი და აღშფოთებული ხმა.—ამხანაგებო, დავატყვევოთ ჯავშნოსანი! ვანანოთ ვერაგობა!

ეროვნული

წითელარმიელები მიბრუნდნენ ჯავშნოსანს.

—დასცხეთ ტყვიამფრქვევი!—დასჭექა შორსმა და იქვე თხრილის პირას დაადგმევინა ტყვიამფრქვევი.

ტყვიამფრქვევმა საშინელი ცეცხლი დაანთო.

—წინ! მომყევით! ვაშაა!—შესძახა შორსმა და გაექანა ჯავშნოსნისაკენ.

ჯავშნოსნის ხელით აღება უმაგალითო შემთხვევა იყო, მაგრამ უკანდახევა არცერთ წითელარმიელს არ მოსვლია აზრად, ყველა ხედავდა, რომ წინ მიდიოდა შორსი, სახელგანთქმული გმირი და საყვარელი მეთაური, ყველას უნდოდა შორსის სიახლოვეს ყოფნა, შორსის გვერდით ბრძოლა.



დაღლილნი იყვნენ, მაგრამ კამათი დიდხანს გაგრძელდა. ყველას სჯეროდა თავისი სიმართლე და შორსის გვერდით ბრძოლას სხვას არ უთმობდა.

2

მეორე დღეს მტერმა ეშმაკობა იხმარა: ჯავშნოსან მატარებელზე წითელი დროშა ასწია და ბერდიჩევის სადგურს ნელა მიუახლოვდა.

სამოქალაქო ომის დროს ფრონტის შიმართულება ხშირად იცვლებოდა, და წითელარმიელები მოტყუვდნენ: ჯავშნოსანი თავისად მიიღეს და მხიარული ყიჟინით გამოეფინენ შესახვედრად.

ჯავშნოსანმა ჯერ მიუშვა წითელარმიელები და უცებ ტყვია სეტყვასავით დააყარა.

საშინელი პანიკა ატყდა. ბევრი მიწაზე გაწვა, ბევრი გამოიქცა, ზოგი დაიბნა, დახოცილების სისხლმა შეღება მიწა. ცხიერი ჯავშნოსნიდან კი ტყვია ისევ სეტყვასავით მოდიოდა.

აი, მიჰქრის წინ შორსი, ხელში ნაგანი მოუღერებია და იძახის:

—წინ! მომყევით! ვაშა!

—ვაშაა!—გრიალებს რაზმი და რკინის ნიაღვარივით მიექანება წინ. შორსის გმირები ეცნენ ჯავშნოსანს და ხელთ ჩაიგდეს.

—მოაბრუნეთ ქვემეხები მტრისაკენ!—გასცა განკარგულება შორსმა.—დასცხეთ მტერს მისივე ქვემეხები!

დასცხეს, მტერმა დაიხია, ქალაქი გადარჩა.

საღამოს წითელარმიელები ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

—ოჰ, როგორ მივრბოდი! ვერ დავეწიე შორსს. მინდოდა შორსის წინ ვყოფილიყავი.

—რატომ გინდოდა?

—ეგებ მე მომხვდეს მეთქი ტყვია... იმას არ მოხვდეს-მეთქი.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ჯარი

სიხარულის მზეს და წყარეს
ვინ ჩაგვიჭრიბს, რა დაგვიშრიბს!
რა გაუძლებს ჩვენს ფითელ ჯარს—
ჩვენს მარჯვენას, ხალხის პირიმშოს!

* *
*

სიფხიზლე და მამაცობა
დიდი აქვს და ჰქონდა მუდამ,
იცის, მტერს თუ როგორ დახვდეს,
ან შეტევა როგორ უნდა.

* *
*

იზრდება და იფოლადებს
გულს ბელადის საქმით, სიბრძნით,
იცის თავის ძლიერება,
რას ურტყამს და რისთვის იბრძვის.

* *
*

მარად მხნე და უშიშარი,
გაუტეხელ მკერდით იცავს
ამღერებულ, განახლებულ
საბჭოეთის ხალხს და მიწას.

* *
*

დგას გმირულად, რომ ჯეჯილი
ბიბინებდეს ჩვენში ლაღად,
რომ ფოლადი მეტი გვექნეს
და ჭაობი იქცეს ბაღად,

* *
*

რომ ბრბვინავდეს გამარჯვება,
ბედნიერი ხალხის ვაშა,
ცა ბრწყინავდეს და მტრის მფრინავს
არ შეეძლოს იქ ფრთის გაშლა.

* *
*

ჩვენს ბალებში, ჩვენს მინდვრებზე
რომ ხმატკბილი სიო ჰქროდეს
და სამშობლო საყვარელი
მორთული და სუფთა გვქონდეს.

იგორ ვსევოლოჟსკი

მამაცობა ქალაქებს იღებს

— იმისათვის, რომ ომში მედგარი და მამაცი იყო—ამბობს ბუდიონი,—უნდა გამაგრდე, სიკვდილს შეგნებულად უცქირო სახეში, არავითარ პირობებში არ დაიბნე და სავსებით გესმოდეს თუ რისთვის იბრძვი.

აი რა გვიამბო ერთხელ ბუდიონიმ.

— სალის ტრამალებში კაზაკების სამი კორპუსი—ცამეტი ათასი თეთრგვარდიელი—გადმოვიდა შეტევაზე ჩვენი ცხენოსანი კორპუსის წინააღმდეგ. თეთრები სამჯერ უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე წითელარმიელები. რამდენჯერმე გადმოვიდნენ შეტევაზე თეთრები, მაგრამ ყოველთვის მოიგერიეს ჩვენმა მებრძოლებმა. მტერი მკვდრებსა და დაჭრილებს ტოვებდა ბრძოლის ველზე. ბოლოს, უკანასკნელმა შეტევამაც რომ უნაყოფოდ ჩაუარათ, თეთრები გაიქცნენ. დადევნება არ ღირდა: მზე ჩავიდა, და სიბნელე შავ ლეჩაქივით გადაეფარა ტრამალს. დაღამდა.

გარბოდნენ თეთრები და თან მიჰყავდათ რვა ჩვენი მებრძოლი, რომლებიც გააფთრებულნი შეიჭრნენ ცხენებით მტრის შუაგულში და ტყვედ ჩავარდნენ. ცივი და ნესტიანი ღამე იყო, თეთრებმა კი დატყვევებულებს გახადეს მაზარები და გიმნასტიორკები და საცვლების ამარა დატოვეს. ისინი მთლად გაითოშნენ სიცივისაგან და შიმშილიც სტანჯავდათ. მებადრაგენი კონდახის ცემით მიერეკებოდნენ მათ და ერთი სიტყვის თქმის ნებასაც არ აძლევდნენ. დაიწყო თოვა. თოვლის სველმა, დიდრონმა ფანტელებმა დაფარა ტყვეების თავი და ბეჭები, ამოუვსო მათ თვალები, დაეკიდა წამწამებზე.

წითელარმიელებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რაც მოელოდათ: თეთრები არც ერთ ტყვეს ცოცხალს არ უშვებდნენ.

— ბიჭებო, სულერთია, სიკვდილი არ აგვცდება. კრინტი არ დაძრათ, დამუნჯდით,—უთხრა ამხანაგებს ესკადრონის მეთაურმა, ამხანაგმა ბობრიკოვმა.



ერთერთმა მებადრაგემ ზურგში ჩაკრა კონდახი, ამხანაგებმა კი თავი დაუქნიეს და ამით ანიშნეს, რომ ყველაფერი **გაიგ**ონეს, მიხვდნენ და კიდეც ეთანხმებოდნენ ესკადრონის მეთაურს.

თეთრები ხევში ჩავიდნენ და სტანიცაში შეავიდნენ. ძაღლები ყეფდნენ, ცხენები ჭიხვინებდნენ, ქუჩებში ოთხთვალები რახრახობდა, ბევრი სახლიდან სინათლე გამოკრთოდა. ტყვეები მთლად გაითოშნენ და მათ კბილს კბილზე აცემინებდა. მებადრაგეებმა კონდახების ცემით შერეკეს ისინი ქოხში. კუთხეში ხატების ქვეშ იჯდა სახეაწითლებული, ღიპიანი და ფრჩხილებდაკვნეტილი ოფიცერი. ის ბრაზობდა თავის ჯარისკაცებზე, რომლებიც დამარცხდნენ ბრძოლაში, და სურდა გაეგო, თუ რა ჯარი ჰყავს ბუდიონის. მას არ ჯეროდა, რომ ცამეტმა ათასმა ვერ შეძლო სამიათასი ბუდიონოველის დამარცხება.

— აი რას გეტყვით,—მიმართა მან წითელარმიელებს,—მე თქვენ არ დაგხვრეტთ და იქნებ შინაც კი გაგიშვათ. თქვენ, ალბათ, დაიქანცეთ ამდენი ბრძოლით, მოწყენილები ხართ და გენატრებათ ცოლ-შვილში ყოფნა. მითხარით, რამდენი ჯარისკაცი ჰყავს ბუდიონის, და გაგიშვებთ.

რვა მებრძოლი იდგა ოფიცრის წინაშე. თოვლი გალღვა, და მრგვალი შავი გუბეები დადგა იატაკზე.

— გმადლობთ, ბატონო ოფიცერო,— უპასუხა ესკადრონის მეთაურმა,—მაგრამ ჩვენ სრულიადაც არა გვსურს შინ წასვლა. სანამ თქვენ საბოლოოდ არ დაგამარცხებთ, მანამდის არ [illegible] ბრძოლა; ჩვენი ცოლები დაგვიცდიან, [illegible] დაიზრდებიან, ვიდრე ჩვენ თქვენ გეომებით. ჩვენ არ გეტყვით რამდენი ჯარისკაცი ჰყავს ბუდიონის.

ოფიცერი გაცოფდა, ულვაშები აიბუძგა, წამოვარდა და დაიყვირა:

— თუ თქვენს შორის არის მეთაური, ის მომეცით, მას დავხვრეტ, დანარჩენებს კი გაგათავისუფლებთ.

ვინაიდან რვა მებრძოლი საცვლების ამარა იდგა, ოფიცერს არ შეეძლო გამოეცნო, თუ რომელი მათგანი იყო მეთაური.

წითელარმიელები დუმდნენ. მოისმოდა ძაღლების ყეფა და მამლების პირველი ყივილი. ქუჩაში გაიქროლა ვიღაც მხედარმა.

ოფიცერი მივიდა ყველაზე დაბალ მებრძოლთან, რომელიც სხვებზე მეტად გათოშილიყო. მას კბილს კბილზე აცემინებდა სიცივისაგან, ოფიცერს კი ეგონა ეს შიშისაგან მოსდისო და დაუყვირა:

— ამ წუთს მითხარი, რომელია მეთაური და რამდენი ჯარისკაცი ჰყავს ბუდიონის, თორემ შავი დღე დაგადგება!

წითელარმიელმა კი ასე უპასუხა:

—სულ ზედმეტია შენი ლაპარაკი! დამხვრიტე, ვერაფერს კი ვერ გაიგებ ჩემგან. იმას კი გეტყვი, რომ შენ სისხლის მსმელი თეთრი გველი ხარ!

ოფიცერი ცოფებს ყრიდა, ყვიროდა და ილანძღებოდა. მერე ბრძანა ცარიელ ქოხში შეემწყვდიათ ტყვეები და გუშაგი დაეყენებინათ.

საშინელი ფიქრები აწამებდა ტყვეებს. წამოწვენ ცარიელ ქოხში, ერთმანეთს ჩაეხუტნენ, რომ გამთბარიყვნენ. ფანჯარასთან გუშაგი მიმოდიოდა. სადღაც ცხენები ფრუტუნებდნენ.

ესკადრონის მეთაურმა უეცრად წამოიწია და თქვა:

—ბუდიონიმ რვა კაცით აიღო სტანიცა პლატოვსკაია. არც რაზმი ჰყოლია, არც მებრძოლნი, მხოლოდ შვიდი ამხანაგი ჰყავდა. არ შეუშინდნენ არც ქვემეხებს, არც ტყვიამფრქვევებს. ბიჭებო, სემიონ მიხაილოვიჩი ყოველთვის ამბობს: მამაცობა ჭალაქებს იღებსო. ნუთუ, ბიჭებო, ჩვენ ასე უბრალოდ უნდა მოვკვდეთ? არ უნდა მოვკვდეთ ასე უბრალოდ!

მებრძოლებმაც წამოყვეს თავი და ყურს უგდებდნენ მეთაურის სიტყვებს.

—კი, მაგრამ რა უნდა ვქნათ? გუშაგი დადის,— თქვა ვიღაცამ, და ყველამ მიუგდო ყური, მაგრამ გუშაგის ფეხის ხმა აღარ ისმოდა.

— ჩვენ რვა ვართ,—თქვა ყველაზე ახალგაზრდა მებრძოლმა გავრიკოვმა,—თეთრები კი ჭიანჭველებივით დაფუსფუსებენ. გუშაგი კიდეც რომ მოვკ-

ლათ და საპყრობილედან გავიდეთ, სულერთია, მათ მაინც ვერ წავუვალთ.

— გუშაგს თუ მოვკლავთ, იარაღს ავართმევთ,— თქვა ესკადრონის მეთაურმა,—ხოლო რაკი იარაღი გვექნება, ორჯერ უფრო ღონიერი ვიქნებით, იმასაც შევძლებთ, რომ კომენდანტის ქოხს დავესხათ და ტანისამოსი ჩავიგდოთ ხელში. აბა ტიტვლები ვერ მივაღწევთ ჩვენებამდის, გავიყინებით...

და კვლავ ყურს უგდებდნენ მებრძოლნი.

სტანიცაში ყველაფერი მიყუჩდა, ძაღლების ყეფაც კი აღარ ისმოდა.

— არა, ტყუილუბრალოდ არ უნდა დავიხოცოთ— თქვა ფართომხარბეჭიანმა წითელარმიელმა, რომელიც ცხენოსან რაზმში შესვლამდის მჭედლად იყო, ვსინჯოთ,—თქვა მან, მივიდა ფანჯარასთან და თავისი უზარმაზარი ხელები ჩაავლო ჩარჩოს. ჩარჩო აჭრიალდა. ყველას სუნთქვა შეეკრა. მაგრამ კვლავ არსაიდან არ ისმოდა ჩამიჩუმი.

— არ უნდა მოვკვდეთ,—თქვა მჭედელმა და ფრთხილად გამოიღო ჩარჩო.

მებრძოლნი ერთიმეორეზე გადაძვრნენ ფანჯარაში და დაინახეს პირაღმა მიძინებული გუშაგი.

მჭედელმა თავისი უზარმაზარი მუშტით გააბრუა გუშაგი და თან დააყოლა: „ნუ გძინავს“. თეთრი ფიგურები თეთრ თოვლზე გაცოცდნენ კომენდანტის ბინისაკენ.

ქოხში სინათლე აღარ იყო. ტყვეებს იმდენად სციოდათ, რომ მუხლისთავებით თითქოს დედამიწაზე იყვნენ მიყინულნი. ირგვლივ ყველას ეძინა. კომენდანტის ბინასთან დაინახეს დაბმული ცხენები, რომლებსაც არავინ არ უდარაჯებდა. ზოგიერთებმა ცხენებზე შეხტომა დააპირეს, მაგრამ ესკადრონის მეთაურმა შეაჩერა ისინი. მან ანიშნა მჭედელს, და ამ უკანასკნელმა ფრთხილად გამოიღო ფანჯრის ჩარჩო. ქოხში ეძინათ კომენდანტსა და სამ ოფიცერს. მაგიდაზე ეწყო ბოთლები, იარაღი; კიტელები, შარვლები, ჩექმები და მაზარები უზარმაზარ შავ გროვად ეყარა იატაკზე...

ხუთი წუთის შემდეგ სტანიციდან გადიოდა რვა ცხენოსანი—ოთხ ოფიცერს მიჰყავდა ოთხი ძონძებიანი კაცი. განაპირა სახლიდან გამოხტა გუშაგი, რომელსაც ფართომხარბეჭიანმა ოფიცერმა დაუყვირა:

— გძინავს, ყეყეჩო!

სტანიცას რომ გასცდნენ, მხედრებმა მიუშვეს ცხენები თოვლით დაფენილ ველზე და გაქროლეს.

დილაზე შიკრიკმა მოახსენა ბუდიონის: პირდაპირ ჩვენკენ მოაქროლებენ ცხენებს თეთრგვარდიელი ოფიცრები, სულ რამდენიმე კაციაო. ბუდიონიმ აიღო დურბინდი და დაინახა კოხტად გამოწყობილი ოფიცრები, რომლებიც შესანიშნავ ცხენებს მოაგელვებდნენ და თანაც რაღაცას ყვიროდნენ. ოფიცრები ცოტანი იყვნენ.

— არ ესროლოთ,—ბრძანა ბუდიონიმ და ოფიცრებისაკენ წავიდა. მეთაურებმა ნაგანები ამოიღეს და სროლას აპირებდნენ. ერთი ოფიცერი ცხენიდან ჩამოხტა და პირდაპირ ბუდიონისაკენ მიდიოდა...

— ბიჭებო, აბა გვიამბეთ, როგორ დაუსხლტით თეთრებს?—ღიმილით თქვა ბუდიონიმ.—რამდენი ხანია ომში ვარ, და ჯერ არ მინახავს, რომ ოფიცერი უშარვლოდ იჯდეს ცხენზე,—თქვა მან გაღიმებით და მჭედელზე მიათითა. ყველანი მიხვდნენ, რომ ესენი იყვნენ გუშინდელი ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილი წითელარმიელები.

„ოფიცრები“ გადმოხტნენ ცხენებიდან. და უამბეს ბუდიონის, თუ როგორ გაუსხლტნენ ხელიდან თეთრგვარდიელებს.

ნიკოლო ნაგრელი
ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზნებარე რაინდის ბოლო

1886 წლის 28 ოქტომბერი იყო, შემოდგომის მზიანი დღე. დასავლეთ საქართველოს სოფელ ღორეშაში მცხოვრებ კონსტანტინე ორჯონიკიძის ოჯახში დაიბადა ბავშვი.

მშობლები დიდად კმაყოფილნი იყვნენ, რომ მათ ასეთი ლამაზი ვაჟი შეეძინათ. დედა ხშირად დასცქეროდა უსუსურ ბავშვს. ხიბლავდა მას თავისი პირმშოს პირბადრი სახე, მოხდენილი შუბლი, ახლადგახელილი ცქრიალა თვალები... იგი ოცნებობდა, რომ პატარა ვაჟი გამოსულიყო სასარგებლო და პატიოსანი ადამიანი.

მაგრამ მალე დედა ავად გახდა, მის გულს მწუხარების ლოდი დააწვა. ნუთუ იგი ვერ განიკურნება? ნუთუ იგი უნდა გამოემშვიდობოს პატარა შვილს?

დღეები მიდიოდნენ. დედის ავადმყოფობა უფროდაუფრო რთულდებოდა. ბოლოს, მშობიარობიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, დედა კიდეც გარდაიცვალა.

ეზოში ქალებმა კივილი ატეხეს. ოჯახში კი საცოდავად ტიროდა უსუსური, ღონემიხდილი ბავშვი...

ჩვილი დეიდამ წაიყვანა.

მწუხარე დეიდამ მოწიწებით ჩაიკრა გულში დისწული. თბილ ზეწრებში გაახვია და თავის სახლში წაიყვანა. იქ ძუძუ მოაწოვა, დაამშვიდა.

შემდეგ დეიდა შვილივით უვლიდა ბავშვს.

ბავშვი წამოიზარდა, ფეხზე სიარული დაიწყო.

— სერგო, სერიოჟა!—ეძახდნენ მას დეიდაშვილები და ათამაშებდნენ. სერიოჟა ბორძიკ-ბორძიკით მივიდოდა ხან ერთთან, ხან მეორესთან და დაუსრულებლივ იცინოდა.

— აღუუ, აღუუ!—შეუღიტინებდნენ მას, და ბავშვი ხითხითს იწყებდა.

იგი მეტად ლამაზი იყო. ჰქონდა ხუჭუჭი თმა, სწორი, ოდნავ მოხრილი ცხვირი, ცეცხლივით მოელვარე თვალები, ღაჟღაჟა ლოყები...

იყო ცელქი და მოუსვენარი. აი, ყველანი სხედან და ბაასობენ. სერიოჟა უეცრად წამოხტება, მიეპარება დეიდაშვილს, მოუთათუნებს ხელს ზურგში და უმანკო სიცილით გაიქცევა. ოთახში წიწილა შემოვა,—სერიოჟა კუთხეში ჩაცუცქდება, დაუყრის წიწილას საკენკს, ფრთხილად დაიჭერს, კარგახანს ათამაშებს და შემდეგ გაუშვებს.

სერიოჟას მეგობრები

როცა ხუთი-ექვსი წელი შეუსრულდა სერიოჟას, ტოლ-მეგობრებიც გაიჩინა. ყოველდღე, ცისმარე დილით, შეკრებდა მათ და აჩაღებდა თამაშს. რას არ თამაშობდნენ ისინი ხეების ჩრდილქვეშ! დარბოდნენ, ხტოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ.

— წყაროზე წავიდეთ,—წამოიძახებდა სერიოჟა, შეატყობდა რა, რომ ბავშვებს ცეკვა მოსწყინდათ.

წყარო ცოტა ქვევით იყო, პატარა ფერდობის დასასრულს. ბავშვები მიირბენდნენ იქ, აიღებდნენ პეშვით წყალს და ერთმანეთს ასველებდნენ. ეს სასიამოვნო იყო მათთვის მაშინ, ზაფხულის მცხუნვარე დღეებში.



სახლი სოფელ ღორეშაში, სადაც დაიბადა სერგო ორჯონიკიძე

„მე სერგოსთან მინდა"

სერიოჟა მეტად მკვირცხლი და მარჯვე იყო. შეჯიბრება-თამაშის დროს ყოველთვის ის მხარე იმარჯვებდა, სადაც იგი მონაწილეობდა. ამიტომ ყველას უნდოდა, რომ მის გუნდში მომხვდარიყო.

—არჩევანი მე,—დაიწყებდა სერიოჟა.

— არადანი მე,—იტყოდა კალენიკე.

— სანია მე.

— შაშიკო მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბიკო კი უკმაყოფილო რჩებოდა მით, რომ იგ. სერგომ არ აირჩია.

— მე სერგოსთან მინდა, სერგოსთან.—დაიძახებდა იგი სხვებთან ერთად.

„წიავ, წიავ"...

ბავშვებს ძალიან უყვარდათ რიკტაფელას თამაში. გამოჭრიდნენ პატარა ჯოხებს, ქუსლით ამოაღრმავებდნენ მინდორზე მიწას და იწყებდნენ თამაშს.

აქ, ქუსლით ამოღრმავებულ მიწასთან, ფილასთან, სერგო დგას. გაჰკრავს რიკს ჯოხს. რიკი კი ბზრიალბზრიალით მიდის შორს. მეორე მოთამაშე დაიჭერს რიკს და დიდხანს უმიზნებს მას ფილას. რიკი პირდაპირ მიქრის. აი, საცაა სერგოს ფეხებთან დავარდება და... მაშინ წაგება არ ასცდება სერგოს. მაგრამ მარდია სერგო, რიკს ისევ უკან აბრუნებს მაგარი დარტყმით.

გადის რამდენიმე წუთიც. სერგო იმარჯვებს. ამას მოჰყვება აკენკვა. შემდეგ იმდენჯერ გაჰკრავს რიკს, რამდენჯერაც აკენკა.

შორი მანძილია! მეორე მოთამაშემ, დამარცხებულმა, ეს მანძილი ისე უნდა გაირბინოს, რომ არ შეისუნთქოს და გაბმით იძახოს „წიავ, წიავ"...

მეტი რა გზაა! იგი იწყებს ძახილს: „წიავ, წიავ, წიავ..."

სერგო კი შესცქერის დამარცხებულს და გულიანად ხარხარებს...

პატარა თევზები

შესანიშნავია სერგოს სამშობლო სოფელი ღორეშა. სულ გორაკები, მწვანით შემოსილი გორაკები... ზოგიერთ გორაკს გვერდი აქვს ჩამოფხატული და აქ მოჩანს სალი კლდე.

ალაგ-ალაგ ვაკეებია და ვაკეებზე გაშენებულია სახლები, კარმიდამოები, ვენახები, ბაღები. სოფელში ბევრი წყარო და ნაკადულია. ყველა ნაკადული ერთვის ერთ მდინარეს, რომელსაც კვადაურას ეძახიან, კვადაურა კი განთქმულია თევზებით.

აი, ამ მდინარეში ხშირად ჩადიოდნენ ბავშვები და თევზაობდნენ. მთელი საათობით დაეხეტებოდნენ ისინი წყალში, მაგრამ თევზებს მაინც ვერ იჭერდნენ. რა საშუალებას არ მიმართეს ბავშვებმა, მაგრამ სურვილი კი ვერ აისრულეს.

მაშინ ჩაფიქრდა სერგო, რომელიც ყველასაგან გამოირჩეოდა მახვილი გონებით, ჩაფიქრდა და თქვა:

— მდინარის პატარა ტოტები უნდა დავწრიტოთ, თევზები რიყეზე დარჩებიან და ჩვენც დავიჭერთ.

შეუდგნენ საქმეს. ტოტის სათავეში ჩაყარეს ქვები, ფოთლები, ხრეში, სილა... წყალიც დაშრა. თევზებმა რიყეზე დაიწყეს ფართხალი.



სერგო ორჯონიკიძე მოწაფეობისას.

ბავშვები სიხარულისაგან ღელავდნენ, ხან ერთ გუბესთან შეჯგუფდებოდნენ, ხან მეორესთან და იჭერდნენ თევზებს.

მალე სულ დააცალიერეს მდინარის ტოტი, ბევრი თევზი შეაგროვეს. სერგო დააცქერდა თევზებს, აკრიფა პატარები და თქვა:

— ესენი ცოდვანი არიან, შევიბრალოთო.

შემდეგ მივიდა მდინარის ნაპირთან და პატარა თევზები წყალში გაუშვა. ბავშვები გაახარა მისმა საქციელმა.

ვინ გაუსწრებს

მაშინ ექვსი წლისა იყო სერგო. ერთ დილით ადგა, გარეთ გაიხედა. დაინახა, რომ ყველაფერი თოვლს დაეფარა. გახარებული გამოვიდა აივანზე და გადასძახა თავის ამხანაგებს:

— თოვლი მოსულა, თოვლი მოსულა! წავიდეთ, ვითამაშოთ!

გავიდნენ, დიდხანს იგუნდავეს. სერგოს ვერავინ გაუძლო, სერგო მოერია შვიდ-რვა წლის ბიჭებსაც.

შემდეგ ციგაობა დაიწყეს.

— აბა, ვინ გაუსწრებს? ვინ აჯობებს?—იძახდნენ ბავშვები და ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე მიეღწიათ გამარჯვებისათვის. მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქაც სერგომ გაიმარჯვა. იგი მოხერხებულად სრიალებდა თოვლზე.

სერგო მუდამ პირველი იყო ხტომაში, სირბილში, ციგაობაში, გუნდაობაში, თევზის ჭერაში...

მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა მას—სიმღერა არ იცოდა. როცა სხვები დაიწყებდნენ სიმღერას,—სერგოც აჰყვებოდა მათ. მაგრამ მაშინვე ყველაფერი აირეოდა. ზოგი მომღერალი სულ გაჩუმდებოდა, ზოგი კიდევ ბუზღუნს მოჰყვებოდა:

— აი, ასე დაგეწყო თავზე ბალანი!—წამოიძახებდა ოლიმპიადა ორჯონიკიძე, მას ეთანხმებოდა მარიამიც.

ჟერგო კი მტკიცედ დადგებოდა და იტყოდა:

— რა იყო ვითომ? ცოტა უხეში ხმა მაქვს, მაგრამ არაფერია, მალე კარგ სიმღერას ვისწავლი.

პირველად სკოლაში

სერგოს ძალიან აინტერესებდა სწავლა. იგი სულ იმაზე ოცნებობდა, თუ როდის ეღირსებოდა მოწაფეობა.

— შვიდი წლის რომ შეიქნა, უთხრეს—სკოლაში უნდა მიგაბაროთო. სერგოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აი, რამდენიმე დღის შემდეგ ჩანთიანი ბიჭი იქნება, მაშასადამე, მოწაფე.

ერთ დილით ღორეშის სამრევლო სკოლაში წაიყვანეს. მასწავლებელმა ჩაწერა ჟურნალში სერგოს გვარი, სახელი და მამის სახელი: ორჯონიკიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე.

პირველ დღეებში უხერხულად გრძნობდა თავს ახალი მოწაფე, მორცხვობდა. გაკვეთილის გამოსვლის შემდეგ მივიდოდა ხესთან, მიეყრდნობოდა მას ზურგით, დაიჭდობდა ხელებს და იდგა თავჩაღუნული.

ერთ უფროს მოსწავლეს, ილარიონ კურტანიძეს, ძალიან უკვირდა სერგოს საქციელი. იგი ცდილობდა გაერთო ახალი მოწაფე. მართლაც, მალე, სამოთხი დღის შემდეგ, კვლავ იჩინა თავი სერგოს დაუდეგარმა ბუნებამ. იგი ახლა მოწაფეთა შორის დგებოდა და ბევრს თამაშობდა, ხტუნავდა, ცელქობდა.

სად არიან მოწაფეები

სერგო სამაგალითო მოწაფე იყო. ადვილად ითვისებდა ახალახალ საკითხებს. გაკვეთილებს სკოლაშივე სწავლობდა. შინ მხოლოდ გაიმეორებდა და უფრო კარგად მოემზადებოდა.

სერგო ორჯონიკიძე—ახალგაზრდობისას.

. დილით გულისფანცქალით ელოდნენ ამხანაგები სკოლაში სერგოს მოსვლას. მათ არ იცოდნენ გაკვეთილები, სერგომ კი იცოდა. მოვიდოდა იგი და კიდევაც შეასწავლიდა ამხანაგებს გაკვეთილებს.

ერთ დღეს კი აი რა მოხდა სკოლაში:

რამდენიმე მოწაფე დგას ჭიშკართან და ელოდება სერგოს. სერგო კი რაღაც მიზეზის გამო იგვიანებს, არსად ჩანს, არ მოდის. მოწაფეები ნერვიულობენ. აი, საცაა ზარიც დაირეკება და... მათ ხომ გაკვეთილები არ იციან!

აჰა, ზარიც ააწკრიალეს. სერგო მაინც არსად ჩანს. ის მოწაფეები, რომლებმაც გაკვეთილი არ იცოდნენ, არ შევიდნენ კლასში და სადღაც მიიმალნენ.

„მამაო ჩვენო“ კი რა ქნა!

მასწავლებელმა მოწაფეებს „მამაო ჩვენოს“ შესწავლა დააწყებინა. პირველ გაკვეთილზევე აღმოჩნდა, რომ ბევრმა „მამაო ჩვენო“ ზეპირად იცოდა. მასწავლებელი კმაყოფილი იყო ამით.

— ორჯონიკიძე გრიგოლ! – დაიძახა მან,—აბა, იცი თუ არა „მამაო ჩვენო“?

— არ ვიცი,—მიუგო მოწაფემ.

— მაშ ხვალისთვის უნდა დაისწავლო.

მეორე დღეს კვლავ ჰკითხა მასწავლებელმა სერგოს „მამაო ჩვენო“. სერგომ კი არც მეორე დღეს იცოდა, არც მესამეს, არც მეოთხეს, არც შემდეგ...

— აბა, ორჯონიკიძე, დაიწყე „მამაო ჩვენო“.

— მამაო ჩვენო, მამაო ჩვენო, – დაიწყებდა სერგო და ისევ დადუმდებოდა.

მასწავლებლები გაკვირვებულნი იყვნენ: სამაგალითო მოწაფემ ვერ ისწავლა „მამაო ჩვენო“! ისინი დიდ უკმაყოფილებასაც გამოთქვამდნენ.

— ყველაფერს ადვილად ვსწავლობ, – ამბობდა შემდეგ სერგო, – „მამაო ჩვენო“ კი ვერ დავისწავლე და არც მინდოდა დამესწავლა, ძლიერ მეზიზღება სამღვთო სჯული.

ღირსეული მოსარჩლე

თამაშის დროს სკოლაში ხდებოდა ასეც: ზოგიერთ პატარა მოწაფეს თავში ჩაარტყამდნენ წკიპურტებს, სცემდნენ და აწვალებდნენ. სერგო მივიდოდა მოზრდილ მოწაფესთან, საყვედურით გადახედავდა და დინჯად ეტყოდა:

— შეგირცხვეს სინდისი!

ზოგიერთს მართლაც შერცხვებოდა და თავს ანებებდა პატარების წვალებას. სერგო პატარებს ყველაფერში ეხმარებოდა, ზოგიერთს ჭადსაც კი აჭმევდა.

აი, მაგალითად, სკოლაში სწავლობდა ერთი მოწაფე, სახელად ალექსი. ალექსის ძალიან ღარიბი მშობლები ჰყავდა. ისინი ჭადსაც ვერ შოულობდნენ შვილისათვის. სერგოს ებრალებოდა ალექსი და მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვის ხშირად დაჰქონდა სკოლაში ჩანთით ჭადი და ყველი.

სანია გადაარჩინა

გულკეთილი, მამაცი, უშიშარი, გაბედული, მარჯვე ბიჭის სახელი ჰქონდა პატარა სერგოს. ერთმა შემთხვევამ უფრო გაზარდა მისი ავტორიტეტი ამხანაგებში. საქმე ასე იყო:

ხარაგაულში მოდიოდნენ ცხენებით სერგოს ბიძა და სანიას მამა. ბავშვები მათ უკან ჰყავდათ ცხენებზე შემომჯდარი. როცა მდინარე ჩხერიმელას მოუახლოვდნენ, უცებ სანია გადავარდა მდინარეში.

სერგო ელვასავით გადახტა ცხენიდან და მდინარეში გადაეშვა. ამასობაში უფროსებიც მიეშველნენ ბავშვებს და სანია წყლიდან ამოიყვანეს. სერგო სულ გაწუწულიყო, მაგრამ თავის თავზე არ ფიქრობდა.

ღამე, როცა სხვებს ეშინოდა, სერგო მიდიოდა ამათუიმ ადგილზე და ყველაფერს ადვილად აკეთებდა, რასაც კი დაავალებდნენ უფროსები. მას არაფრის არ ეშინოდა და არაფრის წინაშე არ იხევდა უკან. იტყოდა ამასადაამას გავაკეთებო, და მართლაც გააკეთებდა, იტყოდა და შეასრულებდა. სიმამაცე, გამბედაობა და შეუპოვრობა თავიდანვე ახასიათებდა.

ხოგისაკენ

წარმატებით დაასრულა სერგომ სამრევლო სკოლა. მაშინ მისმა მოგვარემ, სახალხო მასწავლებელმა სიმონ ორჯონიკიძემ,გადაწყვიტა ხობში წაეყვანა იგი. სიმონმა სერგოსთან ერთად ხობში ორი სხვა ბავშვიც წაიყვანა: სანია ორჯონიკიძე და გიგა თავზარაშვილი.

სანია და გიგა წუხდნენ, არ უნდოდათ ხობში წასვლა: იქ მოგვწყინდება, სადღაც დავიკარგებითო, ტიროდნენ ბავშვები. სერგო კი ამაზე სიცილით ამბობდა:

— კაია, ნუ წუწუნებთ პირიქით: ჩვენ უნდა გვიხაროდეს, იქ ბევრს ვნახავთ და ვისწავლითო.

ყველაზე კარგი ზღაპარი

ხობში სერგო ისევე წარმატებით სწავლობდა, როგორც ღორეშაში. მასწავლებლებს მოსწონდათ იგი და ხშირად აქებდნენ, მაგრამ დაუვიწყარი ქება სერგომ რუსულის ერთ გაკვეთილზე დაიმსახურა. მაშინ იგი მეოთხე ჯგუფში იყო.

ორი დღით ადრე მასწავლებელმა დაავალა მოწაფეებს დაეწერათ რაიმე პატარა ზღაპარი. მოწაფეები ბევრს ფიქრობდნენ ზღაპარზე. ზოგმა კიდევაც დაწერა, ხოლო ზოგმა ვერა.

სერგომ მშვენიერი ზღაპარი მოამზადა, რომელიც ასე იწყებოდა: იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხეტიალე თხა. მას ბევრი საძოვარი მინდორი ჰქონდა...

შემდეგ ზღაპრის შინაარსი ასეთი იყო: გაუმაძღარი თხის გული ვერ დააკმაყოფილა მშვენიერმა მინდვრებმა. ამიტომ მან ხეტიალი იწყო. თხა ხან ერთ მინდორში ამოყოფდა თავს, ხან მეორეში. ბოლოს ტყეებშიც დაიწყო ხეტიალი. იქ კი მოხეტიალე თხა მგელმა შეჭამა.

— აი, ხომ ხედავთო,—თქვა მასწავლებელმა გაკვეთილზე,—ორჯონიკიძე ყველაფერში საუკეთესო მოწაფეა, ზღაპარიც კარგად დაუწერიაო.

ხობიდან ლანჩხუთში, შემდეგ ხარაგოულში

ხობიდან სერგო ლანჩხუთში გადავიდა. იქ ცოტახანს დაჰყო და შემდეგ ხარაგოულს დაუბრუნდა.

ხარაგოულში სწავლობდა ორკლასიან სასწავლებელში. ცხოვრობდა მახლობელ სოფელ თეთრაწყაროში, თავისი დედის ძმის ოჯახში.

ახლა სერგო უკვე თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი იყო და საკმარისად მცოდნე, დაკვირვებული და გაგებული. მას ხშირად მიმართავდნენ დარიგებისათვის ამხანაგები, მეზობლები „პატარა მოქადაგეს“ ეძახდნენ.

საქმე ასე იყო:

ეზოში იდგა ერთი უზარმაზარი ხე. სერგო ავიდოდა მის კენწეროზე და დაიწყებდა ლაპარაკს, ანუ „ქადაგს“, როგორც მაშინ ამბობდნენ. ხის გარშემო შემოკრებილი იყვნენ ბავშვები და გატაცებით უსმენდნენ „პატარა მოქადაგეს“.

— ეს ბიჭი რაღაც უცნაურიაო, — ამბობდნენ მეზობლები, — კლასში სულ „პიატებზე“ სწავლობსო.

სერგო მართლაც ისევ სამაგალითოდ სწავლობდა. 1898 წლის გაზაფხულზე მან წარმატებით დასრულა ხარაგოულის ორკლასიანი სასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო წრეში ჩაება

შემდეგ იგი ხაშურის რკინიგზის სკოლაში მიაბარეს. მაგრამ მალე იძულებული გახდა, გაჭირვების გამო, შინ დაბრუნებულიყო.

სერგოს ნათესავს, ტარასი ორჯონიკიძეს, აფიქრებდა ჭაბუკის ბედი. მას უნდოდა კვლავ სადმე სკოლაში მიებარებინა სერგო. 1900 წლის შემოდგომაზე ტარასი ორჯონიკიძემ თბილისში წაიყვანა იგი და ქალაქის საავადმყოფოსთან არსებულ საფერშლო სკოლაში მიაბარა.

საფერშლო სკოლაში ეწყობოდა სოციალ-დემოკრატიული წრეები. ერთ წრეში ჩაება სერგო ორჯონიკიძეც. 1901—1902 წელს იგი მუშაობდა თბილისის მოწაფეთა ცენტრალურ წრეში.

ამიერიდან სერგომ თავისი ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს.

რა მხიარული დღეა
რა მხიარული წუთი:
თებერვალია, იცით,
თებერვლის ოცდახუთი!
დგება კაშკაშა დილა,
გვაწვიმს სხივების ჩქერი,
და განთიადი გრწყინავს
ყელსახვევების ფერი.
საბჭოთა საქართველოს
ჩვენი სალამი წრფელი,
მას არ მოაკლებს ზრუნვას
მგზნებარე კოლხიდელი.
რა მხიარული დღეა,
რა მხიარული წუთი:
თებერვალია იცით,
თებერვლის, ოცდახუთი!

იოსეფ ნონეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი მოსულა

ადილაა. გარეთ თოვლის ფანტელი
ნელი ფარფატით ირევა ქარში...
როდის მოთოვა ნეტავ ამდენი,
თოვლია ირგვლივ მთასა და ბარში.

თოვლია ირგვლივ მთასა და ბარში,
მწვანე ხეებიც თეთრად მორთულა,
მესმის ყვირილი პატარა ბავშვის:
—თოვლი მოსულა, თოვლი მოსულა!

ბიჭო, რა მკვირცხლად გიცინის სახე,
ალბათ, გახარებს ციგა და გუნდა,
რომ არაფერში არ ირცხვენ სახელს,—
ბავშვიც ცქრიალა ასეთი უნდა.

ხელებზე გცივა, უბეში მიგაქვს,
იცინი მაინც, კარგი ხარ, კარგი,
ისევ გახარებს გუნდა და ციგა
და შეჯიბრება ტოლ-ამხანაგის.

არ გავიწყდება ფრიადზე სწავლა,
ცოცხალი სახით სკოლაში ზიხარ,
შენ ამ ყოფაში იზრდები ახლა,
შენ ამ წიგნების ალერსი გიყვარს.

კარგი ხარ, კარგი, ჩემო პატარა,
შეხტი, შესძახე ომახიანად,
შენისთანები ბევრი გამხდარა
დღეს მოწინავე ადამიანად.

თოვლიან ქუჩის არ ჩანს ნაპირი,
მწვანე ხეებიც თეთრად მორთულა,
წიგნებით ხელში გარბიხარ, ყვირი:
—თოვლი მოსულა, თოვლი მოსულა!

პასუხები ჟურ. „პიონერის“ № 1-ში მოთავსებულ გასართობებზე:

ეს კვადრატი—შემდეგნაირად უნდა გაყოთ ოთხ ნაწილად:

1	15	5	12
8	10	4	9
11	6	16	2
14	3	13	7

უნდა დალაგდეს ასე:

1	11	6	16
8	14	3	9
15	5	12	2
10	4	13	7

თამაში ასანთის ღეროებით:



1. ხუთი კვადრატიდან სამი ასანთის ღეროს მოშორებით მივიღეთ სამი კვადრატი.

2. ცხრა ასანთის ღეროდან მივიღეთ ოცდათექვსმეტი.



IV

—სამი ასანთის ღეროდან მივიღეთ ოთხი.

VI

4. სამი ასანთის ღეროდან მივიღეთ ექვსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახუმარო ამბები

ნიუტონის კნუტები

მოგვითხრობენ, რომ ნიუტონს ჰყავდა ორი კნუტი, ერთი მოზრდილი, მეორე კი პატარა. ნიუტონს ძლიერ უყვარდა ისინი, კნუტებს მის ოთახში ეძინათ. დილით ადრე ისინი დარბოდნენ ოთახში, თამაშობდნენ, ხტუნაობდნენ. ნიუტონი ილვიძებდა და გაყავდა ისინი გარეთ. მას მოსწყინდა ყოველ დილით ადგომა. ერთხელ მან გამოხერხა კარში ორი ხვრელი—დიდი და პატარა.

— რატომ გაუკეთე კარს ორი ხვრელი?—ჰკითხა მეცნიერს მისმა მეგობარმა.

— რატომ? ერთი დიდისათვის, მეორე კი პატარასთვის.

— კი, მაგრამ განა პატარა კნუტი ვერ გავა იმ ხვრელში, რომელშიაც დიდი გადის?

— ოჰ, ამის შესახებ არ მიფიქრია! — ადელვებით წარმოთქვა ნიუტონმა.

„მცოდნე"

1501 წელს ფლორენციის პრეზიდენტმა პიეტრო სოდერინიმ შეუკვეთა ქანდაკება განთქმულ მოქანდაკე მიქელ ანჯელოს.

ერთხელ სოდერინი მივიდა ხელოვანის სახელოსნოში, რომ ენახა დაუმთავრებელი ქანდაკება. სოდერინის უნდოდა თავი მოეჩვენებინა ხელოვნების მცოდნედ. მან ჩაათვალიერა ქანდაკება და შემდეგ შენიშნა:

— ცხვირი მსხვილი აქვს, მეგობარო...

მიქელ ანჯელომ შეუმჩნევლად აიღო მარმარილოს ნატეხი, ავიდა სკამზე, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ცხვირს ასწორებს, და ჩამოაგდო ის მარმარილოს ნატეხი, რომელიც ხელში ეკავა.

სოდერინიმ ხელმეორედ შეხედა ქანდაკებას და კმაყოფილებით წარმოთქვა:

— აი, ახლა სულ სხვაა...

როგორ გავერთოთ ასანთის ღერებით



ნახ. 1

1. დაალაგეთ ჩვიდმეტი ასანთის ღერი ისე, რომ მიიღოთ ექვსი კვადრატი. შემდეგ მოაშორეთ ხუთი ასანთის ღერი იმდაგვარად, რომ დარჩეს სამი კვადრატი.

3. გააკეთეთ ჩვიდმეტი ასანთის ღერიდან ექვსი კვადრატი (როგორც ნახატზეა ნაჩვენები), შემდეგ მოაშორეთ ექვსი ასანთის ღერი, ისე რომ დარჩეს მხოლოდ ორი სხვადასხვა სიდიდის კვადრატი.



ნახ. 2

2. დაალაგეთ თორმეტი ასანთის ღერი ისე, რომ მიიღოთ ოთხი კვადრატი. შემდეგ გადასვით ოთხი ასანთის ღერი იმდაგვარად, რომ მიიღოთ იმავე ზომის 3 კვადრატი.